პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 62 (20403) — ოთხშაბათი, 15 მარტი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მზადდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფის თაობაზე.

აღინიშნა, რომ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმი იწვევს ღრმა საზოგადოებრივ ინტერესს, მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. ეროვნული პოლიტიკის საკითხებს იხილავენ პარტიულ კომიტეტებში, კომუნისტთა კრებებზე, შრომითს კოლექტივებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენციის წრეებში, სხვადასხვა თვითმოქმედ გაერთიანებებში. ეს ამჟამად მიმდინარე საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ძირითადი თემა გახდა. პლენუმისათვის მზადების ფარგლებში მოეწყო საკავშირო და რეგიონალური სამეცნიერო-თეორიული კონფერენციები, სიმპოზიუმები, „მრგვალი მაგიდები", რომლებშიც ფართოდ მონაწილეობდა საზოგადოებრიობა.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა განაზოგადეს, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის, სპეციალისტთა აზრი და წარადგინეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ანალიზური მასალები. მათ გამოთქვეს თვიანთი წინადადებანი ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფის შესახებ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, წამოაყენეს აქტუალური პრობლემები, რომლებიც უნდა განიხილონ და გადაჭრან პლენუმზე.

ბევრი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო სერიოზულ მუშაობას ეწევა იმ მწვავე საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც აწუხებთ მშრომელებს, განსაკუთრებით სოციალურ სფეროში, ეროვნული კულტურისა და ენის, ეკოლოგიის დარგებში. მათი ინიციატივით, კერძოდ, დაიწახა დიდი მასშტაბის ღონისძიებანი არალის ზღვის პრობლემის გამო, მიღებულია გადაწყვეტილება სომხეთის ატომური ელექტროსადგურის დახურვისა და პროფილის შეცვლის შესახებ, შეჩერებულია ლიტვის იგნალის ატომური ელექტროსადგურის მესამე ბლოკის მშენებლობა, შეწყვეტილია ზოგიერთი ჰიდროსამელიორაციო პროექტის განხორციელება, იღებენ ბუნებადაცვითი ხასიათის სხვა ზომებს.

რუსეთის სფსრ მთავრობა იხილავს ჩრდილოეთის ეროვნებათა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საკითხთა კომპლექსს. ყაზახეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, თათრეთსა და ბაშკირეთში, მთელ რიგ სხვა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში გავრცელდა მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნებათა კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის მუშაობის ახალი ფორმები. დამატებით გაიხსნა სწავლების ეროვნულენოვანი სკოლები, კლასები, ჯგუფები, ფაკულტეტები, მშობლიური ენის შესასწავლად გერმანელებისათვის, ებრაელების, ყირიმელი თათრების, კორეელების, ქურთების, თურქების, ბულგარელების, გაგაუზებისათვის. გამოდის ახალი გაზეთები, ცვლადი გვერდები, დამატებით მოეწყო ტელეგადაცემები და რადიომაუწყებლობა ეროვნულ ენებზე. მოსკოვში შეიქმნა მთელი რიგი ეროვნულ-კულტურული ცენტრები და გაერთიანებები.

რესპუბლიკური პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენელთა მოხაწილეობით ყოველმხრივ შეისწავლეს სამეურნეო ანგარიშზე, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, საბჭოების ხელმძღვანელების, მეცნიერი იურისტების მონაწილეობით მზადდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.

შემოსული წინადადებებისა და ანალიზის, ქვეყანაში მიმდინარე დისკუსიების საფუძველზე მუშავდება ეროვნებათშორისი ურთიერთობის რეგულირებასთან დაკავშირებული კანონპროექტების პაკეტი, მათ შორის ისეთ ძირითად საკითხებზე, როგორიც არის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის სრულყოფა, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქებისა და ოკრუგების სამართლებრივი სტატუსის განმტკიცება, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ-კულტურული ცენტრების ბიუროს ფუნქციები, ეროვნულ-საბჭოთა ორგანოების ურთიერთობა, ეროვნული ენების, ენობრივი პოლიტიკის, ეროვნული ენების ფუნქციონირების, ეროვნული ენების, ეროვნული ენების, ეროვნული ენ

მოკავშირე რესპუბლიკებში მათი სუვერენული უფლებების, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების გაფართოების საფუძველზე ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პრინციპები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

სამეურნეოანგარიშებრივ ურთიერთობას საზოგადოებრივი წარმოების ძირითად რგოლში, როგორც ეკონომიკური რეფორმის მაგისტრალურ მიმართულებას, უნდა გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი ამ პრინციპების დამკვიდრების გზაზე — გავავრცელოთ ისინი ტერიტორიული მეურნეობრობის სფეროზე, გავაფართოოთ რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობა, უზრუნველვყოთ საკავშირო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა რაციონალური განაწილება და შევიმუშაოთ რეგიონების ინტერესების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი.

ამ ამოცანების რეალიზაცია უნდა ხორციელდებოდეს პოლიტიკური სისტემის მიმდინარე რეფორმასთან, საბჭოების სრულიალაუფლებიანობის აღორძინებასთან, ეროვნებათშორისი ურთიერთობის ჰარმონიზაციის მომწიფებული პრობლემების გადაჭრასთან მჭიდრო ურთიერთკავშირით და საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მეტად გავამდიდროთ რეალური შინაარსით თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტი.

თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებაზე მოკავშირე რესპუბლიკებისა და რეგიონების გადასვლის უზრუნველყოფისათვის მთელი ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მუშაობა უნდა ხორციელდებოდეს ისეთნაირად, რომ მეცამეტე ხუთწლედი დავიწყოთ ტერიტორიული მმართველობის თვისებრივად ახალი მექანიზმით. ეს იქნება დიდმნიშვნელოვანი ეტაპი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განვითარებაში. მათი გაღრმავების, გამოცდილების დაგროვების კვალობაზე ტერიტორიული მეურნეობრობის სისტემა თანამიმდევრულად დაიბეჭდება საბჭოთა ფედერალიზმის ფუძემდებლური პრინციპის — ძლიერი ცენტრი და ძლიერი რესპუბლიკები — შესაბამისად.

I. ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში მოკავშირე რესპუბლიკებისა და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის გარდაქმნის პრინციპები და მიმართულებები

1. **რესპუბლიკებისა** და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის გარდაქმნა უნდა დავუქვემდებაროთ ჩვენი საზოგადოების ყოველმხრივი გაგანახლების სტრატეგიული მიზნის მიღწევას — წარმოების ეფექტიანობის ზრდის საფუძველზე საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ახალი ხარისხის უზრუნველყოფას.

ამის საფუძველზე ტერიტორიული მმართველობის რეორგანიზაცია მიზნად უნდა ისახავდეს შემდეგი უმნიშვნელოვანესი ამოცანების დაფიქსირებას:

სოციალური განვითარების დარგში შეექმნათ პირობები იმისათვის, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები, განუხრელად შევასრულოთ ხორცი შრომის მიხედვით ანაზღაურებისა და მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების განაწილებაში სოციალური სამართლიანობის სოციალისტურ პრინციპს, უზრუნველვყოთ მოსახლეობის რაციონალური დასაქმება, გავზარდოთ მისი კულტურული დონე და მუშაკთა პროფესიული ოსტატობა, გავაუმჯობესოთ ბინადრობის გარემო, მოვახდინოთ ეროვნული და ტერიტორიული ფორმირებების ინტერესების ჰარმონიზაცია;

ეკონომიკური განვითარების დარგში კომპლექსურად და ეფექტიანად გამოვიყენოთ რესპუბლიკებისა და რეგიონების საწარმოო, მეცნიერულ-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, ყაირათიანად ვისარგებლოთ ბუნებით, განვახორციელოთ პროგრესული რესურსდამზოგავი პოლიტიკა, გავზარდოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, გავუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი და მივაღწიოთ უმაღლეს სამამულო და საზღვარგარეთულ დონეს, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ საინტეგრაციო პროცესებში შრომის შიდასაკავშირო დანაწილების გაღრმავებისა და ერთიანი სოციალისტური ბაზრის საფუძველზე, ყოველნაირად განვამტკიცოთ ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდები და მეურნეობრობის სოციალისტური სისტემა.

2. სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების დროს რესპუბლიკებში თანამიმდევრულად უნდა გავატაროთ გეზი, რომლის მიზანია რეგიონებისა და მთლიანად ქვეყნის განვითარების მიზნებისა და ამოცანების დაკავშირება, მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული საკითხების ცენტრალიზებული გადაწყვეტის შეხამება თავის ტერიტორიაზე მეურნეობისა და სოციალური სფეროს განვითარებაში რესპუბლიკების ინიციატივასთან, დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობასთან. ამ მოთხოვნების პრაქტიკული რეალიზაცია, ცენტრისა და ადგილების ფუნქციების, მათი საქმიანობის უფლებებისა და სფეროების ზუსტი გამიჯვნა, საერთო საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ინტერესების შეთანხმების მექანიზმის შემუშავება როგორც სახალხო-სამეურნეო, ისე რეგიონალური პრობლემების გადაჭრის დროს დემოკრატიულ ცენტრალიზმს ახალ თანამედროვე სახეს მიანიჭებს.

3. მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და რეგიონების, მოსახლეობის ეროვნული და სოციალური ჯგუფების ინტერესების ჰარმონიზაციის საიმედო ეკონომიკური საფუძველია სახელმწიფო საკუთრების, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილების, შემდგომი განმტკიცება და განვითარება. ამავე დროს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დემოკრატიზაცია მოითხოვს ყველა დონეზე სოციალისტური საკუთრების მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. მისი სახეობების მრავალფეროვნებისა და ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობების საფუძველზე.

ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯი იყო საწარმოებისა და კოოპერატივების ქონებრივი უფლებების გაფართოება სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ და კოოპერაციის შესახებ სსრ კავშირის კანონების შესაბამისად. ახლა მომწიფდა საჭიროება მოკავშირე რესპუბლიკებსა და რეგიონებს მიენიჭოთ და საკანონმდებლო წესით დაუმკვიდრდეთ ახალი უფლებები, რათა განაგებდნენ ქონებასა და ბუნებრივ რესურსებს, როგორც თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების საფუძველზე მათი ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის გადამწყვეტი წინამძღვარი.

4. თვითმმართველობა გულისხმობს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის მთელი სისტემის დეშოკრატიზაციას, სამეურნეო საქმიანობაში მოკავშირე რესპუბლიკებისა და რეგიონების დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის სფეროს არსებით გაფართოებას, მათთვის ფართო უფლებების მინიჭებას ტერიტორიების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემების გადაჭრაში, ყველა ეროვნული ჯგუფისა და სოციალური ფენის ინტერესების გათვალისწინებასა და რეალიზაციას, მოსახლეობისა და მისი წარმომადგენლობითი ორგანოების აქტიურ მონაწილეობას მმართველობაში.

თვითდაფინანსება ნიშნავს, რომ რესპუბლიკებისა და რეგიონების განვითარება ხორციელდება უმთავრესად გამომუშავებული შემოსავლის ხარჯზე, მათი ფინანსური რესურსები კი უშუალოდ დამოკიდებულია ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაობის უფექტიანობასა და საბოლოო შედეგებზე. ეს ქმნის საჭირო წანამძღვრებს რესპუბლიკებისა და რეგიონების საიმედო მატერიალურ-საფინანსო ბაზის ჩამოყალიბებისათვის, ზრდის მათ დაინტერესებას სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებით, რესპუბლიკათშორისი ინტეგრაციული პროცესების, როგორც საკუთარი კეთილდღეობისა და საბჭოთა სახელმწიფოს დოვლათის გამრავლების, საფუძვლის გაღრმავებით.

5. თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობა, რაც სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის სამეურნეო ანგარიშებრივი საწყისების რეგიონალური გამოხატულებაა, მთელი რადიკალური ეკონომიკური რეფორმის მტკიცე რგოლი უნდა გახდეს. იგი მიზნად ისახავს, რომ უზრუნველვყოთ მოკავშირე რესპუბლიკებისა და რეგიონების მოსახლეობის კეთილდღეობის დონის მკვეთრი დამოკიდებულება წარმოების ინტენსიფიკაციაზე, მათი სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებსა და ქვეყნის საერთო განვითარებაში წვლილზე და ქმნის შესაძლებლობებს ეკონომიკური ზრდის რეგიონალური ფაქტორების სრული გამოვლენისა და გამოყენებისათვის.

ამავე დროს ამ პრინციპებზე რესპუბლიკების გადასვლისა და მათი რეალიზაციის კონკრეტული მექანიზმის შემუშავების დროს უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნები.

პირველი. მოკავშირე რესპუბლიკებში მეურნეობრობის ახალი პირობები ისე უნდა განხორციელდეს, რომ უზრუნველვყოთ და დავამკვიდროთ საბჭოთა დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, როგორც ხალხის თვითმმართველობის მთავარი რგოლის, ტერიტორიაზე ნამდვილი ბატონ-პატრონის, სრულძალაუფლებიანობა. ეს ნიშნავს, რომ თვითმმართველობა და თვითდაფინანსება არ შეიძლება შეიზღუდოს მოკავშირე რესპუბლიკების დონით, არამედ უნდა განხორციელდეს აგრეთვე ავტონომიურ ფორმირებებსა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში. ამიტომ ცენტრიდან რესპუბლიკებში ფუნქციებისა და უფლებების გადაცემასთან ერთად უნდა გავაფართოოთ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების უფლებამოსილებანი.

ამ ფუნქციებისა და უფლებების გადაცემამ ავტონომიური რესპუბლიკების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული საბჭოებისათვის უნდა უზრუნველყოს მათი უფლებამოსილებანი საქვეუწყებო საწარმოებისა და მეურნეობის მართვაში, ბიუჯეტების ფორმირებაში, შემოსავლის განსაზღვრასა და გასავლის გამოყენებაში, გააფართოოს მათი კომპეტენცია დაგეგმვის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ბუნების დაცვის დარგში, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში. ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილებათა გაფართოება და სამართლებრივი დამკვიდრება გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტში, რომელიც მზადდება და რომლის დებულებანი ურთიერთშეთანხმებულია ამ ზოგად პრინციპებთან.

მეორე. ტერიტორიების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გადიდებამ არ უნდა შელახოს ძირითადი საწარმოო რგოლის — საწარმოებისა და გაერთიანებების სამეურნეოანგარიშებრივი უფლებები და საკავშირო სამინისტროების ადმინისტრაციულ-მბრძანებელ ურიდიქტატი არ შეცვალოს რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების დიქტატით. ისინი ვალდებულნი არიან სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებთან ურთიერთობა ააგონ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ და კოოპერაციის შესახებ სსრ კავშირის კანონების ზუსტი შესაბამისობით და ყოველნაირად შეუწყონ ხელი მათი უფლებების რეალიზაციას.

მესამე. ტერიტორიული ხელმძღვანელობის გარდაქმნა გულისხმობს რესპუბლიკების, რეგიონების და დარგების საერთო-საკავშირო ჰორიზონტალური კავშირის განვითარებასა და განმტკიცებას, ამ კავშირით მოცული სამეურნეო ურთიერთობის წრის გაფართოებას მათი თვისებრივად ახალი ფორმების, კერძოდ, ერთობლივი საწარმოების შექმნის, საქონელგაცვლის ორგანიზაციის, რეგიონთშორისი ბუნების დაცვისა და სხვა ღონისძიებების განხორციელების გზით. ამ ურთიერთობას საფუძვლად უნდა ედოს სახელშეკრულებო ეკვივალენტური საწყისები, რომლებიც ყველაზე სრულად შეესაბამება თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპებს.

II. მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობრიობის სფეროს გაფართოება, ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაღიდება

1. **მოკავშირე** რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოება, მმართველობის დემოკრატიზაციის ძირითადი საკითხია მათი მეურნეობრიობის სფეროების დასაბუთებული განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს ცენტრსა და ადგილებს შორის მმართველობის ფუნქციებისა და ობიექტების ეფექტიან გამიჯვნას. ამ ამოცანის განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების პრინციპებს და ითვალისწინებდეს შემდეგ ამოსავალ დებულებებს:

სოციალური სფეროს, მშენებლობისა და ბუნებადაცვითი საქმიანობის ხელმძღვანელობის მაქსიმალური კონცენტრაციის მიზანშეწონილობა რესპუბლიკურ ორგანოებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებში, სადაც შეიძლება ყველაზე სრულად გამოიხატოს მოსახლეობის მოთხოვნილებანი და განსაზღვროს მათი დაკმაყოფილების ეფექტიანი გზები საბჭოთა ადამიანების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრისადმი საერთო-სახელმწიფოებრივი მიდგომის უზრუნველყოფის პირობებში;

საკავშირო დონეზე იმ საწარმოო კომპლექსებისა და დარგების მართვის საჭიროება, რომლებსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ეკონომიკის, როგორც ერთიანი მთელის, ფუნქციონირებაზე;

შრომის შიდასაკავშირო დანაწილების შემდგომი გაღრმავების, რესპუბლიკების მეურნეობის სპეციალიზაციისა და კოოპერაციის, რესპუბლიკათშორისი და რეგიონთაშორისი ინტეგრაციის, როგორც სსრ კავშირის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განმტკიცებისა და ეფექტიანობის გადიდების და ერთიანი საერთო-საკავშირო სოციალისტური ბაზრის ჩამოყალიბების ობიექტური კანონზომიერების, საჭიროება;

საერთო-სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება მთელი საზოგადოებისათვის ისეთი საარსებო მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრაში, როგორიც არის სახალხო მეურნეობის ხელახალი სოციალური ორიენტაცია და სტრუქტურული გარდაქმნა, სახელმწიფო მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების რეალიზაცია, საფინანსო-საკრედიტო სისტემისა და ფულის მიმოქცევის განმტკიცება, ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა და თავდაცვისუნარიანობა.

2. აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება გავაფართოოთ რესპუბლიკებისა და რეგიონების მეურნეობრიობის სფერო, მათს დონეზე მოვუყაროთ თავი სასურსათო და სახალხო მოხმარების საბრეწველო საქონლის წარმოებას, მოსახლეობის მომსახურების სფეროს, რეგიონალური მნიშვნელობის საწარმო ინფრასტრუქტურის, სამშენებლო კომპლექსის, ბუნებადაცვითი და იმ სხვა სახეობათა საქმიანობის ხელმძღვანელობას, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას.

მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის გათვალისწინებულია მათ მამგებლობაში გადაეცეს აგროსამრეწველო კომპლექსის, მსუბუქი მრეწველობის, მშენებლობის, საწვავ სამალათა მრეწველობის (გარდა საერთო-საკავშირო მნიშვნელობისა), ვაჭრობის, ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის საწარმოები, გარდა ძირითადი ხე-ტყის დამამზადებელი რესპუბლიკებისა. ამასთან საჭირო იქნება სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის, სსრ კავშირის ტყის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის პურ-პროდუქტების სამინისტროს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, სამშენებლო კომპლექსის მთელი რიგი სამინისტროების ფუნქციების დაზუსტება, რეორგანიზაცია, ხოლო საქონლის ბაზრის შემთხვევაში გაუქმდაც. გარდაქმნილმა სამინისტროებმა და უწყებებმა თავიანთი ძირითადად უნდა წარმართონ სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის, დარგის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრისათვის, საერთო საკავშირო ამოცანებისა და ორგანიზაციულ-მეთოდიკური საკითხების გადაწყვეტისათვის.

მიზანშეწონილია რესპუბლიკების გამგებლობაში გადაეცეს აგრეთვე საჭირო წანამძღვრების შექმნის კვალობაზე სხვა დარგების საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაზე სპეციალდებიან. იმ საწარმოთა გადაცემა, რომლებიც ეშვებენ ტექნიკურად რთულ სამრეწველო საქონელს და აქვთ ფართო შიდადარგობრივი კოოპერაცია და საფირმო მომსახურების განვითარებული ქსელი, საერთო-საკავშირო-საკავშირო ფირმებისა და ორგანიზაციებისა, ასევე ფასიანი ქაღალდების ემისიისა, ბანკების, ფინანსური, ინოვაციური, ინვესტიციური,

მოკავშირე რესპუბლიკებზე მათი სუვერენული უფლებების, თვითმართველობისა და თვითდაფინანსების გაფართოების საფუძველზე ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პრინციპები

ეროვნული პოლიტიკა

(დასასრული)

მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის გამიჯვნას რესპუბლიკური ბიუჯეტს, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა (თუ შემოსავლის ცალკეული სახეობების მიხედვით სხვაგვარი დადგენილი არ არის სსრ, კავშირის კანონმდებლობით) ტერიტორიული წარმონაქმნების ფინანსური ბაზის მაქსიმალური განმტკიცებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის დაცვის საჭიროების გათვალისწინებით.

11. რესპუბლიკების ბიუჯეტების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად დასახულია, რომ სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებების გამოცემის შემთხვევაში, რომლებიც იწვევენ მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების ხარჯების გადიდებას ან შემოსავლის შემცირებას, ამ ბიუჯეტებს უნაზღაურდებათ სახსრები საკავშირო ბიუჯეტიდან. მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების გასავლის შემცირებისა ან შემოსავლის გადიდებისას შესაბამისი თანხა დადაცემა საკავშირო ბიუჯეტს. ამგვარ გარანტიები ვრცელდება საკავშირო ბიუჯეტზეც: მათ უნდა დაიცვან საკავშირო ბიუჯეტის ინტერესები მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობათა საკანონმდებლო აქტებისა და გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც იწვევენ საკავშირო ბიუჯეტის შემოსავლისა ან გასავლის შეცვლას.

12. სბიუჯეტო სისტემის გარდაქმნა მოითხოვს ფინანსური დაგეგმვის სრულყოფას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევიმუშაოთ მოკავშირე რესპუბლიკებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის შემადგენლობაში კრებსითი ფინანსური ბალანსი, რომელიც შეიცავს რესურსებსა და მათი გამოყენების შემართულებებს ტერიტორიაზე არსებულ ყველა საწარმოში.

მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის არსებითი გაფართოების დროს იზრდება მათი პასუხისმგებლობა მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის შეწონასწორებაზე და ფულის მიმოქცევის განმტკიცების, საკასო გეგმების შესრულებისათვის. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებული, მიენიჭოთ მათ იმის უფლება რომ ფულის მიმოქცევა მოაწესრიგონ შიდათვიური საბრუნავი საკასო რეზერვის, აგრეთვე წლის განმავლობაში წინა კვარტალებში მიღწეული საემისიო შედეგებით ეკონომიის გამოყენების ხარჯზე. უნდა გაიზარდოს მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსის როლი საკასო რეგულირებაში. ფულის ემისიის ორგანიზაციის უფლება რჩება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

13. თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე რესპუბლიკების საქმიანობის საჭირო პირობაა აგრეთვე ტერიტორიული საკრედიტო დაგეგმვის სრულყოფა.

მოკავშირე რესპუბლიკები აქტიურ მუშაობას იწყებენ მათს ტერიტორიაზე შექმნილი საფინანსო-საკრედიტო რესურსების ამოქმედებისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის, ყოველნაირად უწყობენ ხელს იმას, რომ შეიქმნას კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების განშტოებული ქსელი. საკუთარი საკრედიტო რესურსების ნაკლებობის დროს კომერციულ ბანკებს შეუძლიათ მიიღონ სახელშეკრულებო, საკონკურსო საფუძვლებზე კრედიტი შესაბამის ან სხვა რესპუბლიკაში განლაგებულ ბანკებში.

საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურებისათვის ბანკის არჩევას განსაზღვრავს თვით საწარმო, მისი დარგობრივი კუთვნილების მიუხედავად.

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში გადაცემასა და უწრნარეს ყოვლისა სოციალური განვითარების პრობლემების გადაჭრაზე რესპუბლიკებისა და რეგიონების ორიენტაციასთან, აგრეთვე საკრედიტო დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლასთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, მიზანშეწონილია თუ არა მათ გამგებლობაში გადაეცეს შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის აგროპრეწვნაკისა და სსრ კავშირის ბინსოცბანკის დაწესებულებანი.

14. ფასწარმოქმნის დარგში მოკავშირე რესპუბლიკა, რომელიც ხელმძღვანელობს საერთო საკავშირო ნორმებითა და დებულებებით, თავის ტერიტორიაზე ახორციელებს ფასების ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას, ხელმძღვანელობს ფასწარმოქმნისა და საფასო მექანიზმის სრულყოფისათვის მუშაობას; განსაზღვრავს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ფასწარმოქმნის საკითხებში, ხელს უწყობს მათი გადაწყვეტის დემოკრატიზაციას.

მოკავშირე რესპუბლიკა ერთიანი საერთო საკავშირო პრინციპების საფუძველზე ადგენს წესს, თუ როგორ უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს:

იმ პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების საბითუმო, შესასყიდი საკალო ფასები და ტარიფები, რომლებიც იწარმოება და გამოიყენება ძირითადად რესპუბლიკის ფარგლებში (გარდა საერთო საკავშირო სახალხო-სამეურნეო და სოციალური მნიშვნელობის პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების ფასებისა და ტარიფებისა, რომელთა ნუსხას განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, აგრეთვე ფასებისა, რომლებსაც ადგენენ საწარმოები და კოოპერატივები სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად;

ყველა სახეობის საყოფაცხოვრებო, კომუნალური (მათ შორის ბინის ქირა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის საფასური) და მოსახლეობის სხვა ფასიანი მომსახურების ფასები და ტარიფები.

მოკავშირე რესპუბლიკები ახორციელებენ საქონელგაცვლას მათ განკარგულებაში არსებული რესურსებით, მათი სახალხო სამეურნეო ან სოციალური მნიშვნელობის მიხედვით ან ფასებით, რომლებიც დგინდება სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული წესით, ან ეკვივალენტურობის პირობებით სახელშეკრულებო ფასებით.

მოკავშირე რესპუბლიკას ეკისრება პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმო და ორგანიზაცია, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ზუსტად იცავდეს ფასების სახელმწიფო დისციპლინას, ქმედით კონტროლს უწევს და აღკვეთავს საცალო ფასებისა და ტარიფების, განსაკუთრებით ბავშვებისა და ნაწილი შესული ასაკის პირებისათვის განკუთვნილი საქონლის საცალო ფასებისა და ტარიფების დაუსაბუთებელი მომატების ცდებს.

IV. მოკავშირე რესპუბლიკების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის სრულყოფა

თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე რესპუბლიკების გადასვლა, მათი მატერიალურ-ფინანსური ბაზის გაფართოება გულისხმობს არსებით ცვლილებებს დაგეგმვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის, კაპიტალური მშენებლობისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ბუნების დაცვისა და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მთელ სისტემაში. ამ ცვლილებათა მიზანი უნდა იყოს მოკავშირე რესპუბლიკების როლის გაძლიერება კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, თითოეული რესპუბლიკისა და მთლიანად სსრ კავშირის ინტერესების ჰარმონიზაცია.

დაგეგმვა

1. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა განსაზღვრავს თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის მონაწილეობას საერთო სტრატეგიული ამოცანების დაგაწყვეტაში, აკონკრეტებს მის წვლილს ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში დაგეგმვის ამოსავალი მონაცემების, აგრეთვე საერთო-საკავშირო და რეგიონთაშორისი პროგრამების შესაბამისად. ქვეყნისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო-სამეურნეო გეგმების შემუშავება ეფუძნება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციასა და ძირითად მიმართულებებს, სსრ კავშირის საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების გენერალურ სქემას, ტერიტორიულ და დარგობრივ სქემებსა და სხვა წინასაგეგმო დოკუმენტებს.

მოკავშირე რესპუბლიკების სავეგმო საქმიანობაში ყოველნაირად უნდა გავაძლიეროთ მათი ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია მისი ეფექტიანობის ზრდის საფუძველზე. რესპუბლიკებში სოციალური განვითარების მართვის დონის ამაღლების, ამ სფეროში შექმნილი მნიშვნელოვან განსხვავებათა დაძლევის მიზნით უნდა გაფართოვდეს იმ მეცნიერულად დასაბუთებული ნორმებისა და ნორმატივების სისტემის გამოყენება, რომლებიც ახასიათებს მოსახლეობის მოთხოვნილებებსა და მის უზრუნველყოფას ცხოვრებისათვის ყოველივე აუცილებლით, და განისაზღვროს მათი ეტაპობრივი მიღწევა.

2. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტის შემუშავების დროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით ეცნობება დაგეგმვის შემდეგი ამოსავალი მონაცემები:

საკონტროლო ციფრები, რომლებიც გამოიყენება თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ორიენტირად. მატერიალური წარმოების დარგების წმინდა პროდუქციის მოცულობის (გარდა ბრუნვის გადასახადისა), მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდის, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის — წმინდა პროდუქციის ყოველ მანეთზე მასალატევადობის შემცირების მიხედვით. ეროვნული შემოსავლისა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლებს განსაზღვრავენ თვითონ მოკავშირე რესპუბლიკები, ისინი აისახება გეგმის კრებსითს ნაწილში და გამოიყენება მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარების შეფასების განმაზოგადებელ მაჩვენებლებად;

სახელმწიფო შეკვეთები, რომლებიც სავალდებულოა შეტანილი იყოს რესპუბლიკების გეგმებში და ეხება უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, სურსათისა და სახალხო მოხმარების სხვა საქონლის მიწოდების საერთო-საკავშირო ფონდში (მათ შორის ცენტრალიზებული რესპუბლიკათშორისი მიწოდებისა და სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების შესრულებისათვის), საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედებას, აგრეთვე სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციაში მონაწილეობას;

საერთო-საკავშირო მიზნობრივი ამოცანების გადაწყვეტისათვის სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებისა და ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ლიმიტები;

მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტის ფორმირების პროცესის მარეგულირებელი ეკონომიკური ნორმატივები, აგრეთვე სავალუტო ფონდებისა და სადაზღვევო მარაგში ანარიცხების ნორმატივები.

დაგეგმვის ამოსავალ მონაცემებს ამუშავებენ ცენტრალური ეკონომიკური ორგანოები მოკავშირე რესპუბლიკების მონაწილეობით.

მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს ამოსავალი მონაცემების შემადგენლობას და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებებისათვის, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, სარკრუგო, საქალაქო და რაიონული საბჭოებისათვის მათი გაცნობის წესს საქვეუწყებო მეურნეობის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დასაგეგმავად.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მმართველობის ეკონომიკური მეთოდების გამოყენების გაღრმავებასთან და გაფართოებასთან ერთად, თავიანთ მუშაობას და ზემდგომი დაქვემდებარებისა და არაუწყებო სტატუსის საწარმოებთან ურთიერთობას აგებენ დადგენილი წესით მათთვის დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივების, აგრეთვე სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე.

3. მეურნეობის კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფაზე რესპუბლიკების მეტი ზემოქმედებისა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა საქმიანობის შედეგებით მათი დაინტერესების გადიდების მიზნით გათვალისწინებულია, რომ:

დაგეგმვის ამოსავალ მონაცემებს ამ საწარმოებს აცნობენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და ამავე დროს ისინი ეცნობებიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს;

სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების დაგეგმვის ამოსავალ მონაცემებს სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები აცნობენ თავიანთ საწარმოებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან მათი შეთანხმების შემდეგ.

მოკავშირე რესპუბლიკებს აქვთ უპირატესი უფლება საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებთან, რომლებიც მათს ტერიტორიაზეა განლაგებული, დადონ ხელშეკრულებანი ამ საწარმოებისათვის დადგენილი სახელმწიფო შეკვეთის გადამტანთან სახალხო მოხმარების საქონლის, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდებისა და სამუშაოთა (მომსახურების) შესრულების შესახებ. რესპუბლიკის საჭიროებისათვის ამ საწარმოთა მიერ სახელმწიფო შეკვეთით წარმოებული პროდუქციის ნაწილის გამოყენების საკითხი წყდება სახელმწიფო გეგმის შედგენისას.

შრომის შიდასაკავშირო განაწილების გაღრმავებისა და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე წარმოებათა განვითარების მიზნით საჭიროდ იქნეს მიჩნეული ეკონომიკური სტიმულირების, შეღავათებისა და სუფსიდიების სისტემის გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი წარმოებების განლაგებითა და ზრდით მოკავშირე რესპუბლიკების დაინტერესებას.

4. იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს მოკავშირე რესპუბლიკების შესაძლებლობანი აქტიური ზეგავლენა მოახდინონ მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა საქმიანობაზე, ნამდვილად უნდა გაიზარდოს ყველა დონეზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების როლი.

კომპლექსურ გეგმებს რესპუბლიკებში ამუშავებენ ქვემოდან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები (რაიონი, ქალაქი, ოკრუგი, ოლქი, მხარე) საქვეუწყებო მეურნეობის გეგმებისა და ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა გეგმების საფუძველზე. მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო უზრუნველყოფს მათ ურთიერთდაკავშირებას და სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის ზოგადი პრინციპების შესაბამისად დამოუკიდებლად აყალიბებს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიან კომპლექსურ გეგმას და წარუდგენს მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიან გეგმას ამტკიცებს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში.

რესპუბლიკებისა და რეგიონების გადასვლა თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე მოითხოვს იმას, რომ შეიცვალოს და დაზუსტდეს მმართველობის სტატისტიკურ-საინფორმაციო ბაზა, დაიხვეწოს ტერიტორიული შეპირისპირების მეთოდები პროდუქციის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების, სოციალური სფეროს, აგრეთვე რესპუბლიკათშორისი მიწოდების დარგში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის განვითარების, ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში მათი წვლილის შეფასების მეცნიერულად დასაბუთებული მაჩვენებლებისა და კრიტერიუმების შემუშავება.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვა

5. მოკავშირე რესპუბლიკები ამუშავებენ და ახორციელებენ სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარების, მეცნიერული კვლევის ხარისხის გაუმჯობესებისა და მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებებს, კოორდინაციას უწევენ მეცნიერულ კვლევასა და ნამუშევრებს, რომლებიც რესპუბლიკურ მეცნიერებათა აკადემიებში, სახალხო მეურნეობის დარგებისა და უმაღლესი სკოლის სამეცნიერო-კვლევითის, სპპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებში სრულდება, ხელს უწყობენ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დაჩქარებულ დანერგვას, ამასთან ითვალისწინებენ რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარების რეგიონალურ თავისებურებებს.

პრიორიტეტული წესით გეგმებში გათვალისწინებული უნდა იყოს სამეცნიერო გამოკვლევები და ნამუშევრები სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებისათვის, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამისა და დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების გეგმებისათვის.

მმართველობის რესპუბლიკური ორგანოები აფინანსებენ გამოკვლევებსა და ნამუშევრებს რესპუბლიკის მეურნეობის საჭიროებებისათვის საბიუჯეტო და სამეურნეობანაზღაურებრივი წყაროების ხარჯზე, ყოველნაირად ასტიმულირებენ ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების, გამოგონებების, ლიცენზიების რეალიზაციას. ისინი აგრეთვე აქტიურად უწყობენ ხელს კოლექტივების ერთობლივი მუშაობის პროგრესული ფორმების განვითარებას მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის შესაყარზე სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო და სოციალური პრობლემების ეფექტიანი და დაჩქარებული გადაჭრისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება ახალი რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების შექმნა, მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების საქვეუწყებო დაწესებულებათა მუშაობის პროფილის შეცვლა, იმ ორგანიზაციათა ლიკვიდაცია, რომელთა საქმიანობა ნაკლებშედეგიანია ან არა აქვს აქტუალური მნიშვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონალური სამეცნიერო ცენტრების მუშაობის ეფექტიანობის გადიდებას.

მოკავშირე რესპუბლიკები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად წყვეტენ თანაინაწილ ტერიტორიაზე მეურნეობის საჭიროებებისათვის საბიუჯეტო და სამეურნეობანაზღაურებრივი წყაროების ხარჯზე, ყოველნაირად ასტიმულირებენ ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების, ლიცენზიების რეალიზაციას. ისინი აგრეთვე აქტიურად უწყობენ ხელს კოლექტივების ერთობლივი მუშაობის პროგრესული ფორმების განვითარებას მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის შესაყარზე სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო და სოციალური პრობლემების ეფექტიანი და დაჩქარებული გადაჭრისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას ანეკუთვნება ახალი რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების შექმნა, მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების საქვეუწყებო დაწესებულებათა მუშაობის პროფილის შეცვლა, იმ ორგანიზაციათა ლიკვიდაცია, რომელთა საქმიანობა ნაკლებშედეგიანია ან არა აქვს აქტუალური მნიშვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დეთმოს რეგიონალური სამეცნიერო ცენტრების საქმიანობის ეფექტიანობის გადიდებას.

მოკავშირე რესპუბლიკები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად წყვეტენ თავიანთ ტერიტორიაზე ტექნოპოლისების შექმნის საკითხებს.

სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების უშუალო განმგებლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების შექმნასა და ლიკვიდაციას ისინი ახორციელებენ შესაბამისი რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით.

კაპიტალური მშენებლობა

6. რესპუბლიკების კომპეტენციაში შედის საქვეუწყებო მეურნეობის საწარმოო ობიექტების, ბინების, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების, მათ შორის იმ ობიექტების მშენებლობაც, რომლებიც იქმნება საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა აგების დროს, აგრეთვე საქვეუწყებო სამშენებლო ორგანიზაციათა მიხედვით საიჯარო სამუშაოთა პროგრამის ფორმირების ყველა საკითხი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ რესპუბლიკების ბიუჯეტებიდან დაფინანსებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობასა და დარგობრივ მიმართულებებს, იღებენ გადაწყვეტილებებს ობიექტების მშენებლობის შესახებ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიუხედავად, დაპროექტების სტადიურობის, სხვა სამშენებლო ნორმების, წესების შესახებ და საქვეუწყებო მეურნეობის მიხედვით კაპიტალური მშენებლობის მომზადებისა და განხორციელების სხვა საკითხებზე.

ნავარაუდევია უარი ითქვას პრაქტიკაზე, როცა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უწესებენ სოციალური სფეროსა და საქვეუწყებო მეურნეობის საწარმოო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის სახელმწიფო შეკვეთებს. ამავე დროს გათვალისწინებულია მიენიჭოთ მათ უფლება დაუწესონ უშუალოდ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების ამოქმედების სახელმწიფო (რესპუბლიკური) შეკვეთა.

სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროთა ორგანიზაციების სამშენებლო პროგრამის შედგენისას მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნულ ორგანიზაციათა სამუშაოების მოცულობამი, რომლებსაც დამოუკიდებლად განსაზღვრავენ ისინი სახელმწიფო შეკვეთის განლაგების შემდეგ, უწინარესად შედის სოციალური დანიშნულების ობიექტები რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებთან დადებული ხელშეკრულებებით.

7. საკავშირო დაქვემდებარების ახალ საწარმოთა განლაგება და სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების ხარჯზე მოქმედ საწარმოთა გაფართოება ხორციელდება რესპუბლიკასა და მმართველობის შესაბამის დარგობრივ ორგანოს შორის შეთანხმებულ დადგენილ ობიექტებზე. ამავე დროს ეფექტიანობა, ადგილობრივ ორგანოს შორის შეთანხმებულ საინვესტიციო ფონდებიდან ობიექტების ამოქმედების ვადა, ადგილობრივ ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ დაიკმაყოფილონ მათს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მოთხოვნილებანი ადგილობრივ საშენ მასალებსა და სხვა პროდუქციაზე, რომლის განაწილების ბალანსებსა და გეგმებს ამუშავებენ მმართველობის რესპუბლიკური ორგანოები.

10. ქვეყნისა და თითოეული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის, ექსტრემალური სიტუაციების წარმოშობისას საჭირო დახმარების გაწევისათვის მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეიქმნას მატერიალური, სასურსათო და საფინანსო სადაზღვევო მარაგის საერთო საკავშირო სისტემა, ამასთან მხედველობაში მივიღოთ, რომ მათ ფორმირებაში მონაწილეობს ყველა რესპუბლიკა და რეგიონი. პროდუქციის სახეობათა კონკრეტული ნუსხა და სადაზღვევო მარაგის ჩამოყალიბებაში რესპუბლიკების მონაწილეობის ნორმატივები დგინდება ხუთწლიან გეგმებში. ამასთან შენარჩუნებულია სახელმწიფო რეზერვების სისტემა.

11. მომხმარებელთა ინტერესების შემბლალავი მონოპოლიური ტენდენციების აღმოფხვრის, რესპუბლიკათშორისი სანქტეგრაციო პროცესების გაძლიერების ეფექტიანად მოქმედი საერთო საკავშირო ბაზრის ჩამოყალიბების მიზნით უნდა შემუშავდეს ეკონომიკურ და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის მიმწოდებელთა შორის შეჯიბრებითობისა და კონკურენციის განვითარებას, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოების, მწარმოებლებისა და მომხმარებლების ურთიერთხელსაყრელი სამეურნეო ურთიერთობის მოგვარებას, მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და ტერიტორიული განლაგების მიუხედავად.

გარემოს დაცვა და გუნებათსარგებლობა

12. ვანიჭებთ რა უაღრესად დიდ მნიშვნელობას ეკოლოგიური ბარემის გაჯანსაღებას საბჭოთა ადამიანების ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის, მიზანშეწონილია დადგინდეს ტერიტორიული მმართველობის პრიორიტეტი გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის საკითხებში.

იმ უფლებამოსილებათა საფუძველზე, რომლებსაც მოკავშირე რესპუბლიკებს ანიჭებს სსრ კავშირის ბუნებათდაცვის კანონმდებლობა, მათ უფლება აქვთ განაგებდნენ თავიანთ ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების ერთიან სახელმწიფო ფონდს. ამის შესაბამისად რესპუბლიკები სსრ კავშირის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით ამტკიცებენ ბუნებათსარგებლობის ზღვრულ ლიმიტებსა და ნორმატივებს, ბუნებრივი რესურსების ეფექტიანობისა და კომპლექსური გამოყენების მაჩვენებლებს ნებართვას.

ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები:

აკოორდინირებენ უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის.

აწყობენ სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების სახსრების ნებაყოფლობით კოოპერირებას, რათა კომპლექსურად იქნეს გამოყენებული ბუნებრივი რესურსები და ერთობლივად განხორციელდეს ბუნების დაცვის ღონისძიებანი, იღწიონ ეკოლოგიურად სუფთა და უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვის, ბუნების დაცვის ობიექტების დროული და ხარისხოვანი აგებისა და საიმედო ექსპლოატაციისათვის;

ახორციელებენ კონტროლს იმისადმი, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დაიცვან ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის საკითხებში კანონმდებლობის მოთხოვნები, კრძალავენ იმათ საქმიანობას, ვინც სისტემატურად არღვევს ბუნებრივი რესურსების სარგებლობის დადგენილ რეჟიმს და ქმნის საშიშ ეკოლოგიურ ვითარებას.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც ახორციელებენ ბუნებრივი რესურსების გაკარგვის თავიანთ უფლებამოსილებებს, რესპუბლიკურ ორგანოებთან ერთად ეწევიან მუშაობას საქალაქო და სასოფლო-სამეურნეო მიწების, წყლის რესურსების, ადგილობრივი სშენი მასალების საბადოების, რეკრეაციული ობიექტების ეფექტიანად გამოყენებისათვის.

13. გარემოს დაცვის საერთოსაკავშირო პროგრამების რეალიზაცია, აგრეთვე რესპუბლიკების მონაწილეობა საერთაშორისო პროგრამებში ხორციელდება როგორც საკავშირო ბიუჯეტის, ისე რესპუბლიკების ბიუჯეტების ხარჯზეც. ამ დარგში რესპუბლიკური და რეგიონალური პროგრამების შემუშავება და შესრულება ფინანსდება შესაბამისი ბიუჯეტების, აგრეთვე იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია საწარმოთა მშენებლობის ხარჯთაღრიცხვების პროექტებში. ამ მიზნებს ხმარდება აგრეთვე საწარმოთა გადასახდელები, რომლებიც ურიგდებიან სასარგებლო წიაღისეულის დანაკარგებს და გარემოს დაბინძურებას.

გარემოს დაცვის უზრუნველყოფაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა არსებით გაფართოებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია განვიხილოთ საკითხი სსრ კავშირის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და მმართველობის სხვა ბუნებისდაცვითი ორგანოების ფუნქციებისა და სტრუქტურის შესახებ, ამასთან მხედველობაში მივიღოთ მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში შესაბამისი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მაქსიმალურად შესაძლო გადაცემა.

შრომისა და სოციალური განვითარების მართვა

14. მოკავშირე რესპუბლიკები ახორციელებენ აქტიურ სოციალურ პოლიტიკას, თანამიმდევრულად იყენებენ შრომის ანაზღაურებას, როგორც მისი ნაყოფიერების ზრდაზე, წარმოების ეფექტიანობის გადიდებასა და შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე ზემოქმედების უმნიშვნელოვანეს საშუალებას. ამასთან ყურადღება უნდა დეთმოს სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის, შრომის ნაყოფიერებისა და მისი ანაზღაურების ზრდას შორის დასაბუთებული თანაფარდობის უზრუნველყოფას.

მოკავშირე რესპუბლიკები დამოუკიდებლად ამუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფა, კადრების პროფესიულ-კვალიფიკაური მომზადების გათვალისწინებით, შრომითი რესურსების რაციონალური განაწილება და გადანაწილება, მათთვის დარგობრივ ორგანოებთან ერთად აწყობენ გამოთავისუფლებულ მუშაკთა დროულ გადამზადებასა და შრომითს მოწყობას, აგრეთვე ახორციელებენ შრომის პირობების გაუმჯობესების, საწარმოო ტრავმატიზმისა და პროფესიული ავადობის შემცირების ღონისძიებებს. ჭარბმუშახელიანი რეგიონებისათვის მუშათა კადრების ეფექტიანი დასაქმების, შრომითი მოწყობისა და მომზადების საკითხები წყდება საკავშირო ორგანოებთან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ორგანოებთან ერთად.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს ენიჭებათ უფლება საწარმოებს, რომლებიც გადაეჭარბებენ ხუთწლიანი გეგმის შედგენისას შეთანხმებულ მუშაკთა რიცხვს, ადგილობრივ ბიუჯეტში გადაარიცხვინონ შეფატანი თითოეული დამატებითი მუშაკისათვის, რომ განვითარდეს სოციალური ინფრასტრუქტურა იმ ოდენობით, რომელიც დადგინა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ.

ჭარბმუშახელიან რაიონებში მოსახლეობის დასაქმების გადიდების მიზნით გამოყენებულ უნდა იქნეს საგადასახადო და სხვა შეღავათები ახალი სამეურნეო ადგილების შექმნის სტიმულირებისათვის.

რესპუბლიკური და რეგიონალური ორგანოები ყოველნაირად ხელს უნდა უწყობდნენ შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების — სანარდო, ბრიგადული და ოჯახური იჯარის ჩამოყალიბებასა და

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

რე რესპუბლიკების კომპეტენციების მკვეთრი გამიჯვნა და მთელ რიგ სხვა-საკითხებზე. მოსამზადებელი კანონპროექტების, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების ცენტრალური იდეაა საბჭოთა ფედერაციის, რესპუბლიკების კავშირის თავდაპირველი ლენინური პრინციპების აღდგენა, რომელსაც აქვთ. რეალური სუვერენიტეტი სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში. მხედველობაშია მიღებული, რომ მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოიწონებს, ისინი განსახილველად გადაეცემა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს და შემდგომ გამოტანილი იქნება საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

ამავე დროს პლენუმისათვის მზადების ჯერ კიდევ არ მინიქვია ის გაქნება, რომელსაც მოითხოვს შექმნილი ვითარება, რომელიც განპირობებულია გარდაქმნის პროცესების გაშლით, აგრეთვე ეროვნული ურთიერთობის სფეროში დაგროვილი პრობლემების სიმწვავის შეუფასებლობით. ამ საკითხებს პრინციპულად აყენებენ საარჩევნო კამპანიის დროს. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ აგრეთვე ცალკეული ექსტრემისტული დაჯგუფებების ცდები გაუსწრონ, ზეგავლენა მოახდინონ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებზე, უბიძგონ მათ კონიუნქტურულ საფუძველზე მოუზიქრებელი გადაწყვეტილებების მიღებისათვის, მათ შორის ამჟამად მოქმედი მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების ნაჩქარევი გადასინჯვისათვის. მთელ რიგ შემთხვევებში ისინი ახერხებენ თავიანთი ლოზუნგებით გაიყოლიონ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი.

ამავე დროს საზოგადოებრიობას არ აწვდიან საკმარის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს პარტიის ეროვნული პოლიტიკის განახლების კონცეფციის შემუშავება, როგორ წყდება უკვე დღეს მრავალი დიმენშენელოვანი საკითხი. პარტიული პროპაგანდა ზოგჯერ უსაფუძვლოდ იკავებს პასიურ პოზიციებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა პარტიულ კომიტეტებს უფრო სრულად გამოავლინონ პლენუმთან დაკავშირებული მუშაობის მთელი მრავალფეროვნება, იღვაწონ, რათა მშრომელებმა შეიგნონ ის ფაქტი, რომ ეროვნული პრობლემები არ შეიძლება ერთი ხელის დაკვრით გადაიჭრას. აქ თითოეული ნაბიჯი გულმოდგინედ უნდა იყოს აწონილ-დაწონილი, საჭიროა სისტემა და თანამიმდევრულობა.

მოკავშირე რესპუბლიკებში მათი სუვერენული უფლებების, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების გაფართოების საფუძველზე ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პრინციპების პროექტის პუბლიკაციასთან დაკავშირებით მთელი ყურადღება უნდა დავუთმოთ ადგილებზე მის ახსნა-განმარტებასა და ყოველმხრივ დამუშავებას ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და ავტონომიური ფორმირებების წარმომადგენლების, შემოქმედი ინტელიგენციის, მეცნიერების, პარტიული და საბჭოთა მუშაკების მონაწილეობით, რომლის დროსაც მოვახდინოთ მომწიფებული ეროვნული პრობლემების გადაჭრისადმი ძირითადი მიდგომების აპრობირება.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გავაქტიუროთ ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფის შესახებ ნორმატიული აქტების მომზადება, გავაფართოოთ მასში მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიების, საზოგადოებრიობის მონაწილეობა. ამისათვის წამოყენებულია წინადადება უახლოეს ხანს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართოს თათბირი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობის მუდმივ დეპუტატთა კომისიის წევრების, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავჯდომარეებისა და მეცნიერი იურისტების მონაწილეობით, რომელზეც განხილული იქნება კანონებისა და ალტერნატივული წინადადებების პროექტების ძირითადი დებულებანი: მოიწყოს პარტიული, საბჭოთა აქტივის, იურიდიული საზოგადოებრიობის რეგიონალური შეხვედრები და კონფერენციები თვითმოქმედი გაერთიანებებისა და მოძრაობების წარმომადგენელთა მონაწილეობით სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების სრულყოფის, სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის კომპეტენციების გამიჯვნის, მოქალაქეობის პრობლემების, ეროვნულ ენათა და კულტურათა საკითხების განსახილველად.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გააქტიუროს საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის ჩამოყალიბების პროცესის, ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს განვითარების ეტაპების კვლევა მისი კონკრეტულ-ისტორიული შინაარსით რეალური წინააღმდეგობებისა და დეფორმაციების გათვალისწინებით, შეიმუშაოს შეფასებები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს პროპაგანდისტულ კონცეფციას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად დაევალა ერთი თვის ვადაში მოამზადოს წინადადება ეროვნებათშორისი ურთიერთობის აქტუალური პრობლემების კომპლექსური შესწავლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნის შესახებ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიასა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას დაევალათ 1989 წლის მაისში მოაწყონ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სსრ კავშირი ეროვნული ურთიერთობის განვითარების აქტუალური პრობლემები“.

გათვალისწინებულია პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელების, თვალსაჩინო მეცნიერების, სპეციალისტების მონაწილეობით გაიმართოს მთელი რიგი პრესკონფერენციები და „მრგვალი მაგიდები“, ამასთან დისკუსიები უჩვენონ ცენტრალური ტელევიზიითა და პრესაში. გამუქდეს მათში პოლიტიკური რეფორმის მეორე ეტაპის მომზადება, ეროვნებათშორისი ურთიერთობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების პროექტების შემუშავება, აგრეთვე განხილულ იქნეს ტერიტორიული სამეურნეო ანგარიშისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს წინადადება მიეცათ გამოაქვეყნონ ფუნდამენტური სტატიების სერია ეროვნებათშორისი ურთიერთობის თეორიისა და პრაქტიკის, სსრ კავშირის შექმნის ისტორიის საკითხებზე.

თბილისი—ატლანტა

თუ მეგობარს უჭირს!..

თბილისელები თანაუგრძნობენ სტიქიური უბედურებით დაზარალებულ ამერიკელ მეგობრებს

ატლანტა (აშშ), **ზაარგრიუკენი** (გფრ), **ნანტი** (საფრანგეთი), **ინსბრუკი** (ავსტრია), **პალერმო** (იტალია), **ლუბლიანა** (იუგოსლავია), **გრისტოლი** (ინგლისი), **ბილბაო** (ესპანეთი) — ასეთია თბილისის დაძმობილებული ქალაქების გეოგრაფია.

ამ დღეებში ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ აშშ-ის ჯორჯიას შტატს გადაუარა გრიგალმა, რომელსაც ადამიანის მსხვერპლი და დიდი მატერიალური ზარალი მოჰყვა. ქარის სიჩქარე სათში 70 კილომეტრს აღწევდა. მან ქალაქ ნიუნანში ძირფესვიანად მოთხარა ხეები, დაწყვიტა ელექტროგადაყვანილობის ქსელი, დაანგრია სახლები. ქალაქ ტალაპუსას კი თავს დაატყდა მერხი — სეტყვის მარცვლების დიამეტრი 2,5 სანტიმეტრი იყო..

ამ ცნობამ ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა გულისტკივილი და მზუხარება გამოიწვია — ჯორჯიის შტატის დედაქალაქი, ატლანტა ხომ თბილისის პარტნიორია! ბევრ ჩვენს თანამემამულეს შეგობრობა აკავშირებს იქაურებთან.

პარტნიორების ხელშეკრულებას ოფიციალურად 1988 წლის 22 აპრილს მოაწერეს ხელი ატლანტის მერმა ენდრიუ იანგმა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ირაკლი ანდრიაძემ ჩვენი დელეგაციის აშშ-ში ყოფნისას. უკვე მოხდა პირველი კულტურული გაცვლა. შარშან აგვისტოში ჯორჯიის შტატს ესტუმრა 53-ე სკოლის უფროსკლასელთა და პედაგოგთა ერთი ჯგუფი, შემდეგ ამერიკელი. მოსწავლეები ეწვივნენ საქართველოს. ატლანტაში მთავრდება ქართველ ხელოვანთა საჩუქრის — სკულპტურული კომპოზიციის — „ახალი ადამიანის დაბადების“ მშენებლობა...

წლეულს მაისის ბოლოს ტაშკენტში გაიმართება სსრ კავშირში-ს დაძმობილებულ ქალაქთა წარმომადგენლების შეხვედრა. ამერიკელთა დელეგაცია რამდენიმე დღით თბილისსაც ეწვევა — სამომავლო სამეგობრო გეგმები დაკონკრეტდება და გამრავალფეროვნდება.

მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ანდრიაძემ თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა ატლანტის მერს:

„ცნობამ ჯორჯიაზე თავსდამტყდარი სტიქიური უბედურების შესახებ ყველა ჩვენგანი შეძრა. ღრმა მზუხარებით შევიტყვეთ, რომ სტიქიამ ადამიანები შეიწირა. ჩვენი გულწრფელი სამძიმარი გადაეცით დაზარალებულ ოჯახებს. პირადად თქვენთვის და ჯორჯიის შტატის მცხოვრებთათვის ამ მძიმე წუთებში გვინდა გითხრათ — ჩვენ თქვენთან ვართ“.

ჩვენ მათთან ვართ — გულგრილი ვერავინ დარჩება, თუ მეგობარს უჭირს. („კომუნისტის“ კორ).

სტიქია და ადამიანები

მეწყერი ხაშურში

გაზაფხულის მოსლვამ სტიქიური უბედურების საშიშროება შექმნა რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით იქ, სადაც წლეულს დდთოოვლობა იყო — მოხშირდა ზვავები და მეწყრები.

გუშინ პარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა ორლანდ მულაძემ რედაქციას აცნობა, რომ მეწყრები ამ რაიონშიც ამოძრავდა. სოფელ ქინძათში საშიშ ზონაში მოექცა 43 კომლი. სამი ოჯახი გახიზნეს.

მეწყერი ჩამოწვა სოფელ-ტკოცაშიც და მიწასთან გაასწორა მექანიზატორ დ. გრიგალაშვილის ახლად აშენებული სახლი, 3 სახლი კი ძლიერ დაზიანდა. ჩამოინგრა მეცხოველეობის ფერმის ერთი კედელი. დაიმეწყრა 20 ჰექტარი ვენახი და 30 ჰექტარი ერთწლოვანი კულტურების ნათესი. ფლევში დაიბზარა საბავშვო ბაღის შენობა.

ასეთივე ვითარებაა ცოცხნარის სასოფლო-საბჭოს სოფელ ქენთერში, სადაც დაზარალდა 10 ოჯახი.

რაიონში ყველაფერი კეთდება დაზარალებულთა დასახმარებლად.

,,შენს მიწას მიმაგბარეო“

14 მარტს ქართველმა ხალხმა მშობლიურ მიწას მიაბარა თვალსაჩინო ქართველი მეცენატის, პატრიოტისა და მოკალაქის, არაბულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ხარიჩაში გამომცემლის ლევან საღარაძის ნეშტი. სიცოცხლის 76 წლიდან მან უცხოეთში გაატარა 44 წელი, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ასულდგმულებდა სამშობლოს ვკლავ ხილვის ოცნება, მთელი თავისი საქმიანობით ცდილობდა სარგებლობა მოეტანა მშობელი ხალხისათვის. რაოდენ საოცარი და ტრაგიკული ბედის ადამიანი იყო ლევან საღარაძე, მაგრამ თავის მიწა-წყალს მოშორებული იგი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მისი საქართველო კარგად გაეცნოთ საზღვარგარეთ.

და აი, 44 წლის შემდეგ, იგი სამშობლოში დაბრუნდა. ლევან საღარაძის ანდერძით მისი ნეშტი ჩამოასვენეს საქართველოში. ამერიდან იგი მშობლიურ მიწაში განისვენებს.

...საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება. აქ, დარბაზში, მაღალ კვარცხლბეკზე ყვავილებში დგას, კუბო... უწყვეტ ნაკადად მოედინება ხალხი, რათა გამოეთხოვოს ხალხოვან მამულიშვილს.

აქ, პატრიოტთან და მოკალაქესთან გამოსათხოვრად მოვიდნენ ამხანაგები ო. გ. ვარძელაშვილი, ბ. დ. მახარაშვილი, ნ. ა. ფოფხაძე და ზ. ა. ჩხეიძე.

სამგლოვიარო მიტინგზე გამოვიდნენ ლიტერატურისა და მეცნიერების მოღვაწენი, მათ ილიაპარაკეს ქართულ კულტურაში ლევან საღარაძის დიდ დამსახურებაზე, ღირსეული შვილის დაბრუნების მღელვარე მოვლენაზე.

სამგლოვიარო პროცესია გაეშართა სახელმწიფო ხელმძღვანელების, თვალსაჩინო მეცნიერების, სპეციალისტების მონაწილეობით გაიმართოს მთელი რიგი პრეს-კონფერენციები და „მრგვალი მაგიდები“, ამასთან დისკუსიები უჩვენონ ცენტრალური ტელევიზიითა და პრესაში. გამუქდეს მათში პოლიტიკური რეფორმის მეორე ეტაპის მომზადება, ეროვნებათშორისი ურთიერთობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების პროექტების შემუშავება, აგრეთვე განხილულ იქნეს ტერიტორიული სამეურნეო ანგარიშისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს წინადადება მიეცათ გამოაქვეყნონ ფუნდამენტური სტატიების სერია ეროვნებათშორისი ურთიერთობის თეორიისა და პრაქტიკის, სსრ კავშირის შექმნის ისტორიის საკითხებზე.

ქველმოქმედება

● **გორი.** (საკ. კორ). გორის საზოგადო საკრებულო ბევრი კარგი, მამულიშვილური საქმის წამომწყები და განმახორციელებელია. ორ კვირაზე მეტხანს გასტანა გორელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენამ, რომელიც საკრებულომ თავის საგამოფენო დარბაზში მოაწყო. გამოფენა დაათვალიერა ქალაქის ასობით მშრომელმა.

გამოფენა საქველმოქმედო იყო და შემოსული თანხა ქალაქის ობოლი ბავშვებისათვის გახსნილ ანგარიშზე ჩაირიცხა.

„ჟამი“

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოველკვირეული ორგანო

14 მარტი

ბიბლიოთეკა

სტერეოტიპები უნდა აღმოიფხვრას

„ვაშინგტონ პოსტი“ საბჭოთა ტექნოლოგიის შესახებ

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის ტექნოლოგიების გაცვლისადმი მიდგომაში ფეხმოკიდებული ყავლგახული სტერეოტიპების წინააღმდეგ გაილაშქრა ამერიკის გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“.

ამერიკის თვითკმაყოფილება აღნიშნა მან, „ხელს გვიშლის ვხედავდეთ, თუ რა შეგვიძლია შევიძინოთ ჩვენი მთავარი მეტოქისაგან პოლიტიკურ დარგში, საბჭოთა კავშირისაგან“. ფართოდ დამკვიდრდა აზრი, რომ ვერც საბჭოთა მეცნიერება და ვერც ტექნოლოგია ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანენ ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება „საუკეთესო შემთხვევაში მოჩვენებითია: საბჭოთა კავშირს აქვს მსოფლიოში უდიდესი ბაზა კვლევა-ძიებისა და შუამობისათვის“.

„რუსებს, — წერდა გაზეთი, — ბევრი რამ აქვთ ისეთი, რაც ფუძლითათ შემოვთავაზონ, — ატომოლოგიიდან ელექტრონიკამდე, მედიცინაში ულტრაბგერის გამყენებლებიდან ქიმიურ კატალიზატორებამდერამდე. 1987 წელს ტექნოლოგიებ ელექტრონიკიდან, ლაზერებიდან ენერგეტიკამდე, იმპულსურ მეთოდებამდე და ინფორმაციულ ტექნიკამდე. ... ეროვნებათა ეროვნული ... დემიის მოხსენებაში აღინიშნა, რომ ზეხალსა მყარი სხეულების კომპოზიტური მასალების სინთეზი და იშვიათი ელემენტები, ეს ის დარგებია, სადაც რუსეთ... როგორც ვარაუდობენ, დაჩოჩ... რდნენ“.

● **აშშ-ისრაელი**

პოზიციების გასარკვევად

ვაშინგტონი. თეთრ სახლში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან შეხვედრის შემდეგ ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოშე არენსმა განაცხადა, რომ მხარეებმა „ვერ მიაღწიეს რაიმე საბოლოო ან გარკვეულ პოზიციებს“ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების გზების შესახებ.

„ჩემი აზრით, ალბათ, ნაადრევია ამას ველოდეთ ახლანდელ ეტაპზე“, — დასძინა არენსმა, რომელმაც უპასუხა თეთრ სახლში აკრედიტებულ რეპორტიორთა კითხვებს პრეზიდენტთან შეხვედრის დამთავრებისთანავე. პანიტერის თქმით, ბუშთან საუბრისას განიხილეს ახლო აღმოსავლეთის ვითარების მოწესრიგების გზების თაობაზე „ისრაელსა და შეერთებულ შტატებს შორის კოორდინირებული პოზიციის გამოშუშავების მნიშვნელობა“. უფროდავად ამისა, როგორც აღნიშნა არენსმა, სახელმწიფო მდივანთან ჯეიმს ბეიკერთან და პრეზიდენტ ბუშთან მოლაპარაკების დროს მისთვის „აღ უთხოვნია ისრაელის პოზიციის რაიმე შეცვლა ახლო აღმოსავლეთის საკითხში“.

● **ლიბანი**

დაიხურა აეროპორტი

ბეირუთი. ლიბანში კვლავ დაძაბული ვითარებაა. 13 მარტს ალეის მთაგორიან რაიონში გრძელდებოდა საარტილერიო ხროლა ლიბანის რეგულარული არმიის ქრისტიანულ ნაწილებსა და პროგრესულ-სოციალისტური პარტიის შეიარაღებულ ფორმირებებს შორის.

ლიბანის პრესის მონაცემებით, უკანასკნელი ხუთი დღის მანძილზე ეცხლის დაშენის შედეგად, რომელიც საცხოვრებელ უბნებზე, ბეირუთის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიასა და საერთაშორისო აეროპორტის მიდამოებზე გავრცელდა, დაიხოცა და დაიჭრა 40-მდე კაცი. ინტენსიური სროლა აღინიშნა სადემარკაციო ხაზის გაყოლებით და დედაქალაქის სამხრეთ გარეუბნებში.

გენერალ მ. აუნის გარდამავალმა სამხედრო მთავრობამ განუწყვეტელი სროლის გამო გამოაცხადა, რომ იხურება ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტი. მაგრამ მაამადიანურმა მხარემ უგულებელყო ეს გადაწყვეტილება. ამასთანავე აეროპორტი უკვე მეორე დღეა გაჩერებულია. ვინაიდან სადაზვევო კომპანიებმა გამოაცხადეს, რომ ისინი არ იქნებიან ვალდებულებანი შესრულების გარანტიას აეროპორტის ადგილმდებარეობის რაიონში შექმნილი ვითარების გამო. ს. ხოსის მთავრობის საზოგადოებრივი სამუშაოების, ტრანსპორტისა და ტურიზმის მინისტრმა პროგრესულ-სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ ვ. ჯუმბლათმა, თავის მხრივ, გამოაცხადა, რომ დაიხურა ბეირუთისა და ჯუნიის საზღვაო ნავსადგურები, რომლებსაც ქრისტიანები უწყვეტენ კონტროლს. ამ ნავსადგურებზე გემების შემოსვლა, თქვა მან, შეჩერდა ... ქმნილი ვითარების გამო. სანაზღვევო კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს ეს. ადგილობრივი პრესა გამარტავს ჯუმბლათის განცხადებას და აღნიშნავს: მან აშკარად გვაფრთხილა, რომ მისმა რაზმებმა შეიძლება ცეცხლი დაუშინონ ბეირუთსა და ჯუნიის ნავსადგურებს.

მედიცინის სიახლენი



● **ლეხტიკუვას საგენტოს ცნობით, ფინელმა დოქტორმა ილკა ტოივიომ წარმოადგინა თავისი ახალი გამოგონება, რომელიც ფსდაუდებელ სამსახურს გაუწევს დიდი ხნით სარეცელზე მიჯაჭვულ მძიმე ავადმყოფებს. ეს არის ახალი სახის ლეიბი, რომელიც შედგება გასაბერი ბალიშების მთელი სისტემისაგან. მათზე წოლისას ხხეულის სიმძიმე თანაბრად არის განაწილებული, რაც გამორიცხავს ნაწოლების წარმოქმნას.**

სურათზე: ილკა ტოივიო აჩვენებს თავის ახალ გამოგონებას.

ლეხტიკუვა-საკდენის ფოტო.

ვალი გმკერის ჰიპოთეზა

პარიზი. ადამიანის ორგანიზმი დროთა განმავლობაში, შესაძლოა, გამოიმუშავებს იმუნიტეტს შიდსის ვირუსის წინააღმდეგ.

როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, ასეთი აზრი გამოთქვა კეიპტაუნში სტელენბოსის უნივერსიტეტის ვირუსოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა პროფესორმა ვალი ბეკერმა. მეცნიერის ოპტიმიზმი ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ შიდსის ანალოგიური ვირუსი, რომელიც მაიმუნებს აღმოაჩნდათ, ცხოველებში არ იწვევს დაავადებას. ეს საბაბს იმედს, რომ ადამიანის ორგანიზმი თანდათანობით გამოიმუშავებს „XX საუკუნის ჭირის“ მიმართ წინააღმდეგობის გაწევის უნარს ან სრულ იმუნიტეტს, აღნიშნა ვალი ბეკერმა.

რედაქტორი ნ. ჩერქეზიშვილი.

ფელეტონისტის შენიშვნები

წყალი კი ქონავს და ქონავს

ქალაქი ბათუმი, როგორც იცით, სუბტროპიკულ ზონაშია, და ამიტომაც ასე უხვად რწყავენ და რეცხავენ მას ხშირი წვიმები. რა კარგია იცხოვრო საამიდო ჭერქვეშ, მშვენიერ ბინაში, საექსპლოატაციო უბნის უფროსის მოკალეობის დროებით შემსრულებელი პოლკოვნიკი მარკოვი.

„თქვენი საჩივრის საკითხზე, რომელიც ეხება ლერმონტოვის ქუჩაზე მდებარე №107 „ე“ შენობის ჭერსა და კედლების შიგნითა ზედაპირზე წყლის გაჟონვას, გაცნობებთ: ანალოგიური მოვლენები ხდება ქ. ბათუმის, როგორც თავდაცვის სამინისტროს, ისე ადგილობრივი საბჭოს, ამ სერიის სხვა სახლებშიც. ამასთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილის ბრძანებით, სამხედრო პროექტმა 16. 2. 88 წლის №54 (8) 147 წერილით მიეცა მითითება დაამუშაოს ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავს შენობის შიგნით ტენის შეღწევას.

ამ ღონისძიებათა მიხედვით რეკომენდებულია კედლის პანელების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ნაკერები ამოვიხსნა მასტიკითა და ჰერმობუტილის სალებავებით, ხოლო სახურავი დაიფაროს ბიტუმისა და ნაირიტის კომპოზიციით („ბნკ“). ამ სამუშაოთა შესრულება ჩართულია კაპიტალური რემონტის ტიტულში შიფრით 8293“.

ჩვენ გაბედულად ვუწოდებთ ამ შიფრს, ისევე, როგორც ზემოხსენებულ განკარგულებებსა და ღონისძიებებს, საიდუმლოებით მოცულს. ერთი უბრალო მიზეზის გამო. ეს „პრავდის“ რედაქციას შეატყობინა ბედნავსი სახლის ერთ-ერთმა ბედკრულმა მცხოვრებმა, სამხედრო მოსამსახურემ იური ბორისის ძე ჩისტიაკოვმა.

„დღემდე, — გვწერს იგი, — თავსმა წვიმების დროს ჩვენს სახლში წყალი ჩამოდის სახურავიდან და სარდაფამდე აღწევს. ის სამუშაოები, რომლებიც 8293 შიფრით იყო დაგეგმილი, არ შესრულებულა. ჭერი ცვივა, ოთახებში ხვლდება და „ყვავის“ შპალერი, რომელიც გაშავდა, მოსცილდა კედელს...

ყველა ჩვენს განცხადებაზე მხოლოდ ბიუროკრატიულ პასუხებს ვიღებთ. სახლმმართველობა სამშენებლო ორგანიზაციას აბრალებს: სახლი ახალია და წუნი თავად მშენებლებმა უნდა შეაკეთონო, ისინი კი ამტკიცებენ, რომ ეს მათი საქმე არ არის. ამის შედეგად კი ვზარალდებით ჩვენ, ჩვენი შვილები, რომლებიც ხშირად ავადმყოფობენ ნესტიანი და ლამის დაჭაობებული ბინების გამო.

თავით ფეხებამდე სველი მცხოვრებლები არ გვირჩევენ სუბტროპიკულ ზონაში ბრტყელსახურავიანი პანელური სახლების აშენებას და მართებულადაც. სხვათა შორის, მთელ ბათუმში ამგვარ სახლებს შემდეგ აკრავენ რკინას, თუნუქს, შფერს, აკეთებენ დაქანებულ სახურავს, შედეგად ვიღებთ მახინჯ სახლებს.

როგორღა უყურებს ქალაქის ხელისუფლება ამ „ტენის შეღწევას“? ნუთუ ისინიც ცნობილი პრინციპით მოქმედებენ: „ვთათბირობთ — წყალს ვნაყავთ“!

ვ. ჩიქოვი.

დ. აბაევის ნახატი.

„პრავდა“, 13 მარტი, 1989 წელი.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, ზოგან წვიმა, მთებში, მაღალმთიანეთში თოვლი, ზვავი, იქროლებს წამში 9-14, ღამით 17-22 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი. ტემპერატურა— ბარში ღამით 2-7, დღისით 10-15, მთაში — ღამით 1-6, დღისით 8-13, მაღალმთიანეთში — ღამით მინუს 1—პლუს 4, დღისით 0— პლუს 5 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში: ღრუბლიანი ამინდი, მცირე წვიმა, ზოგან ნისლი, მაღალმთიანეთში თოვლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში ღამით 2-7, დღისით 10-15, მთაში — ღამით მინუს 2—პლუს 3, დღისით 8-13 გრადუსი, მაღალმთიანეთში — ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით 0 — პლუს 5 გრადუსი.

თბილისში ღრუბლიანი ამინდი, მცირე წვიმა, ტემპერატურა — ღამით 5-7, დღისით 12-14 გრადუსი სითბო.

სპორტის ამბები

ფეხბურთი

საპასუხისმგებლო სეზონი

— **ფლევანდელ** საკავშირო ჩემპიონატში, წინა წლებისგან განსხვავებით, საპრიზო ადგილების პრეტენდენტთა რიცხვი ერთიორად გაიზრდება, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ. — ტრადიციულად ძლიერ კლუბებს, ჩემი აზრით წლეულს სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ ის გუნდები, რომლებიც გასულ სეზონში რვა უძლიერესს შორის ვერ მოხვდნენ.

კიევის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბს, რომელიც 2 იანვრიდან სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა, ახლა ძნელი პერიოდი უდგას, თქვა შემდეგ ლობანოვსკიმ. სეზონისათვის მზადების დროს ჩვენ სერიოზული დანაკლისი განვიცადეთ. ბულგარეთში დაშავდა ბელანოვი, მთელი ძალით ვერ ვარჯიშობდნენ მიხაილიჩენკო, ბალი და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი. შეიძლება ძალე ბარსელონას „ესპანიოლში“ გადავიდეს რაცი.

ლობანოვსკიმ ილაპარაკა, აგრეთვე, ფეხბურთის კავშირის თაობაზე. იმედი გამოითქვა, რომ მალე ფართო განხილვისათვის გამოქვეყნდება ფეხბურთის კავშირის წესდების პროექტი, შეიქმნება დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც ქვეყნის საფეხბურთო მეურნეობას უხელმძღვანელებს.

— საბჭოთა ნაკრებს წლეულს სერიოზული გამოცდა ელის, — თქვა შემდეგ ლობანოვსკიმ, — 26 აპრილს კიევში ვეთამაშებით გდრ-ს გუნდს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩვენი მთავარი კონკურენტია. ამ შეხვედრისათვის კარგა ხანია ვემზადებით. თებერვალში იტალიაში მოვაწყვეთ საწვრთნელი შეკრება, გავსინჯეთ არაერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი. ახლა მთის თამაშს თვალს ვადევნებთ ქვეყნის ჩემპიონატის მატჩებში. აპრილამდე რამდენიმე ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გავმართავთ ეროვნულ ნაკრებ გუნდებთან.

ერთი საერთაშორისო შეხვედრა 22 მარტს ვინდჰოეკში გაიმართება. ჩვენს ნაკრებს უმასპინძლებს ევროპის შარშანდელი ჩემპიონი, ჰოლანდიის ეროვნული გუნდი. ამ მატჩისათვის ინტერესი დიდია,

სატურნირო ორბიტა

ძიუდო. პრაღაში დამთავრდა ძიუდოისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი — „განთავისუფლების თასის“ გათამაშება. საბჭოთა მოჭიდავეთაგან ყველაზე უკეთ იასპარეზა გორელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ანზორ თენაძემ (86 კგ), რომელმაც ვერცხლის medali მიიღო. ფინალში თენაძე ესპანელ ვილარუსთან დამარცხდა. მძიმე წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა თბილისელმა ვალერი პარუნაშვილმა. ასეთივე შედეგი აჩვენა მინსკელმა ევგენი დოლინინმა (95 კგ). მან ბოლო შეხვედრა თბილისელ ლერი ყორეულიანს მოუგო.

ფუალხოკეი. 18 ქვეყნის 70-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა ფუალხოკეელთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში („გაზაფხულის მერცხლები“), რომელსაც ერევანმა უმასპინძლა. საბჭოთა გუნდს ერთადერთი ოქროს მედალი 18 წლის ერევნელმა არსენ ჯავადიანმა მოუტანა. ჯავადიანი უძლიერესი იყო კოშკიდან ხტომაში — 639,03 ქულა (სამწუხაროდ, მოთელვის დროს ხელი დაიზიანა თბილისელმა გიორგი ჩოგოვაძემ).

მარტის ბოლოს წყალმხტომელები ციურიხში შეიკრიბებიან და ევროპის თასისათვის იბრძოლებენ.

ჩოგბურთი. აშშ-ს ქალაქ ინდიან უელზში დაიწყო ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც „გრან პრის“ ჩათვლაში შედის.

მოსკოველმა ანდრია ჩესნოკოვმა პირველ წრეში დაამარცხა ინდოელთის წარმომადგენელი რამეშ კრიშნანი — 8:6, 6:4, 6:1.

წყალბურთი. საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრებმა ბუდაპეშტში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოუგო უნგრეთის გუნდს — 11:6. ამ ქვეყნების ახალგაზრდული კოლექტივების შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 12:11.

ფეხბურთი

ბაზრის ფასები

(1989 წლის 12 მარტი, კილოგრამი პროდუქციის ღირებულება მანეთობით)

	ხორცი		ყველი (სახეობის მიხედვით)					
	საქონლის	ღორის		ქვესანილი	პარტოფელი	ჩოგანოსტი	სტაფილო	ვაშლი
თბილისი	7-8	7	8-10	10-15	1.5-2	50-60	1.5	2.5-4
სოხუმი	7	6	8-10	10	1.2	60-70	1	2.5-3
ბათუმი	6	5	7-12	15-20	1-1.5	60	1.5-2	2-3
ცხინვალი	—	—	6-7	10	1.5	60	1	1.5-2
ჟუმაისი	6-7	5	6-10	4-5	1-1.20	80	1	2-3
ზუგდიდი	6	5	7-12	8	1.